საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი

2024 წელი



23.12.2025
www.geostat.ge

23.12.2025

რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი, 2024 წელი

2024 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მაჩვენებელმა 93 022.3 მლნ. ლარი შეადგინა. რეგიონულ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა: ქ. თბილისი (53.1 პროცენტი), აჭარის ა.რ. (9.3 პროცენტი), იმერეთი (7.7 პროცენტი), ქვემო ქართლი (7.1 პროცენტი) და სამეგრელო-ზემო სვანეთი (5.5 პროცენტი).

მთლიანი შიდა პროდუქტის რეგიონული სტრუქტურა 2024



შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

ქ. თბილისში შექმნილი მშპ-ის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (23.7 პროცენტი), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (10.9 პროცენტი), მშენებლობა (10.4 პროცენტი). აჭარის ა.რ.-ის რეგიონისათვის წამყვან ეკონომიკურ სექტორებს წარმოადგენს მშენებლობა (14.7 პროცენტი), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (12.6 პროცენტი), საბითუმო

და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (9.5 პროცენტი). იმერეთში, დამატებული ღირებულების მოცულობის მიხედვით ქვეყნის მესამე რეგიონში, დიდი წილი უკავია სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობას (11.4 პროცენტი), დამამუშავებელ მრეწველობას (10.1 პროცენტი) და განათლებას (9.8 პროცენტი). ქვემო ქართლის მშპ-ში მნიშვნელოვანი წილით არის წარმოდგენილი დამამუშავებელი მრეწველობა (16.1 პროცენტი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (14.1 პროცენტი) და სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა (9.6 პროცენტი).

მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი

რეგიონები	2023	2024
თბილისი	37 059.5	42 982.6
აჭარის ა.რ.	6 683.4	7 516.2
გურია	1 212.8	1 357.4
იმერეთი	5 518.9	6 270.6
კახეთი	3 538.0	4 038.5
მცხეთა-მთიანეთი	1 909.6	2 216.2
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	416.3	476.8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	3 828.7	4 441.8
სამცხე-ჯავახეთი	2 031.0	2 485.8
ქვემო ქართლი	5 280.1	5 778.7
შიდა ქართლი	2 850.7	3 414.9
მშპ საბაზისო ფასებში	**70 328.9**	**80 979.4**
გადასახადები პროდუქციაზე	10 910.8	12 440.6
სუბსიდიები პროდუქციაზე	356.9	397.7
მშპ საბაზრო ფასებში	**80 882.8**	**93 022.3**

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საკონტაქტო პირები:

მაკა კალანდარიშვილი
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (302)
E-mail: mkalandarishvili@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი,
ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge